

1920

ჯარის ნაწილებს უნდა მოეთმობათ.

355(05)

2-99

ფასი 10 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედარი




№ 1.

26 მაისი, 1920 წ.

№ 1.

1001
F-5745



947
1158
974

მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

ტფილისი 26 მაისი.

ჩვენი
მოზანი

ჯარი და გვარდია მშვენებაა ერისა. იგი მოსარჩლეა ერის სახელმწიფოებრივ უფლებას, იგი დარაჯია სამშობლოს სახელგერებისა, იგი მფარველია უმწეო და ქვრივობოლთა ჩაგრულ კერისა, იგი მცველია თავისი ქვეყნის ნამუსისა და მისი კაცური ღირსებისა, იგი გუმაგია ერის მუდრო ცხოვრებისა, მისი კულტურისა, მისი შემოქმედების ფრთაშლილობისა.

არსად ისეთის თავგანწირვით, ისეთის შეგნებით ისეთის ერთსულოვნობით არ განუსორციელებია ქვეყნის შეიარაღებულ ძალას თავისი დიადი და წმინდა მოვალეობა, როგორც ჩვენში!

არსად ისეთის თავმდაბლობით, ისეთის მოკრძალებით, ისეთის მორიდებით არ მოუსდიათ ერის წინაშე ვაჟკაცური ვალი, როგორც ჩვენში!

სხვა ერთა ფანტასიას თავისი გაღმერთებული გმირები მიუგალ მთის მწვერვალოებზე დაუსასლებიათ, სადაც ჩვეულებრივი ადამიანის ფეხი ვერ დაეკარება.

ჩვენში კი, ჩვენი განახლებული ცხოვრების განმამტკიცებელი და ჩვენი ბედის გამომსყედი გმირები, ჩვენი ცხოვრების შემოქმედი დემერტები ჩვენ შორის მიწასზე დადიან და გმირიც იმდენია, რამდენიც მომარნი!

იმათ ვერც ჩვენი სინამდვილე და ვერც ერის ფანტასია ოლიმპის მთასე ვერ დასტევენ!

მეუღად, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ბატონობდა მეფის რუესთის ბნელი ძალა, იგი ვერდნობდა გონება დასშულ, განუვითარებელ, უვიც ჯარის კაცებსე, რომელთაც ვასარმის გარედ ეოველივე ადამიანური ღირსება და მოთხოვნილება ჩაკლული ჰქონდათ.

უასრო და ფუქსავატი, უმინაარსო და უფერული ეო ვასარმებში მომწვედველ ჯარისკაცთა და აფიცერთა ცხოვრება. რეინის სალტებში ჰუავდათ გაქახული მხედრის სული და გული. მათრასი და ნობასტი ეო მათი მწრთვნელი! ჯარი მეუგნებელი და ბრმა იარაღი ეო მეელი მთავრობის ნებისყოფისა.

რამდენი ქართველი გაწამებულა ამ ვასარმებში! რამდენ ქართველ ვაჟკაცს გაუწირავს თავი უცხოეთის ველებზე, თავის საკუთარ კერას, თავის სამშობლოს მოწვევტილი! რამდენი თავგანწირული გმირის სახელი აღნიშნულა რუსეთის სამხედრო მატინაგში! რამდენი ვაჟკაცის მეკრდი განგმირულა ქართველის მახვილით გადამთიულთა გულისათვის!

დღეს კი ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია თავისუფალ საქართველოს სახელმწიფოებრივ უფლებათული, მეკრდი მოღვდილი უმძირად სდგას და ვაჟკაცურად სდარაჯობს თავის საუვარელ სამშობლო თავის ნორჩ რესპუბლიკას, ქვეყნის ნამუსსა და თავის ვაჟკაცობას!

ადამიანმა უნდა გამართლოს ეოველი წუთი თავისი სიცოცხლისაო—უთქვამს ბრძენს. მართლა რომ, ადამიანმა უნდა გამოიყენოს ეოველი წუთი თავისი სიცოცხლისა ადამიანურად, უაღრესის სარგებლობით, უდიდესის ძლიერებით, უმაღლეს ფარულებადღე! ამისათვის კი საჭიროა ცნობა თავისი თავისა, შეგნება გარემოებისა, კანცდა თავისი ადამიანობისა, გათვალისწინება თავისი მოწოდებისა და მოვალეობისა. ეს არის უმაღლესი სილამაზე, კანსომეელი მშვენება ადამიანურ ცხოვრებისა!


მხედარი — მოქალაქე, მხედარი — მოდარაჯე, მხედარი — მეომარი, მხედარი — მწიგნობარი, მხედარი — სელოვანი, მხედარი აღმზრდელი და მამა, მხედარი გულოვანი და ლმობიერი! — ეს არის უაღრესი სახე მხედრის განვითარებისა, მისი კაცად—კაცობისა.

ღეე, ეოველი მოქალაქე ეოს ჯარის კაცი ეოველი ჯარის კაცი—სრული მოქალაქე! ჯარის კაცი! გვარდიელი! ეს სიტყვები ეოველ ქართველის გულში სათუთ განცდას უნდა იწვევდეს ეს სიტყვები თავმოწონების ემბლემად უნდა გვეხედეს.

ამისათვის საჭიროა, რომ ქართველი მხედარი გარდა სამხედრო დარსმულობისა და გულოვნობისა, გარდა საომარ ტენიკისა და სამშობლოსთვი თავდადებისა, გამსჭვალული ეოს უმაღლესი სული ბის სინასით, განიცდიდეს კანსმულ მწერლობის შემოქმედების მშენიერებას, აღფრთოვანდებოდეს მსატვრობი ფერადებით, შეიგრძნებდეს ქანდაკების ჩრთილთა ცდალს, სტკებოდეს მუსიკის უმაღლესის ჰარმონიით.

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენი მთავრობა არაფერს ჰსოგავს: ჯარისკაცთათვის იმართება სეოლები წარმოდგენები, ლექციები, იბუჭდება წიგნები და ბროშურები, ურიგდებათ ქურნალ-კანსეთები და სხვა.

ამავე მიზანს ემსახურება ქურნალი „მხედარი“—იგი უნდა გადიქცეს ჩვენი სამხედრო ძალის სარგებელ! მასში უნდა გამოსჭვიოდეს ჩვენი მხედრობის კულტურული საქმიანობა, მისი მწუნარება-დალსენება, იგი უნდა აძლევდეს ჰასუნს ჯარის კაცის გულში აღმრულ ეოველ სამხედრო-სამოქალაქე საკითხ



სამხედრო მინისტრი გ. ლორიტიანიძე.

ამისათვის საჭიროა, რომ ჯარისა და გუბერნიის უკლებ ნაწილებმა მოგვაწოდონ შესაფერი მასალა: გუბერნიის თავის ნაწილში სახელოვან და თავგანწირულ გმირთა ვინაობა, მათი დედაწილი და გმირობა, მათი სურათები და ბიოგრაფიული ცნობები; გაგვიზინარონ თავისი კულტურული საქმიანობის მსულებლობა, მისი ნაკლი და დირსება და ხელი შეუწყვილებული წავიდეთ. განვითარება—შეკავშირებისა-კენ!

ასე მჭიდროდ შეკავშირებულნი როგორც ბრძოლის ველზე ისე შინაურ კერასე, ფიხლათ ვიდკეთ სამშობლოს და რესპუბლიკის სადარჯჯოზე და მუდამ გვახსოვდეს ერთი უწმინდესი და უდიდესი მცნება, რომელიც ასე მკაფით გამოუთქვამს ჩვენს უკვდავს მგოსანს ვაჟა-ფშაველას:

სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაურით,
მკვდარსაც კი გავცინება!

დამოუკიდებლობის დღე.

როგორც მზე ცის მნათობთა შორის, ეს დღეც მრავალ დღეთა შორის რჩეულია, სათაყვანო...

როგორც მზე აძლევს შუქს მთვარეს და სხვა ცდომილთ,—ამ დღის სინათლეც ეფინება და ამშვენებს „ჯარის“, „გვარდიის“, „მუშის“, „მწერლის“, „მსახიობის“, „სტუდენტის“ და სხვა დღეებს!.. მათი რიცხვი უთვალავია, მაგრამ სათავე მათი ოცდა ექვს მაისშია. საქართველოს დამოუკიდებლობა, საკუთარ ფეხზე დადგომა, რასაც „ყოველთვის ნატრობდა ჩუმი ნატვრითა ქართველი“ დიდ ილიასთან ერთად, სულმნათ აკაკის იმედი „თავს აიშვენებს, იმ ჯაქს ვასწყვეტს გმირთა გმირიო“—ამ დღეს განხორციელდა!..

ეს არის გზა ჯვარედინი, გზების კვანძი, სადაც თავს იყ-

რის და საიდანაც იწყება ჩვენი ალორმანების მაგარი ძარღვები... ეს არის დერძი, რომლის ვარშემოც ბოლობის ფესობებით ჩარიგებულია თავისუფლების, თანასწორობის და ძმობა-ერთობის შტოები, სოციალური კეთილდღეობის სხივებით შეფერადებული... ეს შეკუმშული სხეული დღევანდელ საქართველოსი, რომლის ბრწყინვალეობაც შურით ახრჩობს მრავალ შორეულს თუ მახლობელს შტერ-მოყვარეს... მათ სურთ შეგვიხუთონ ჰაერი და ეშმაკეულის გრძნობით მოგვაჯადოვონ—მაგრამ ნახტომი ეშლებათ, საზიზღარი ბანჯგვლით შემოსილი ფრთები ეტრუსებათ ქართველთა გულის ცეცხლზე, და იმ ორმოში, ჩვენ რომ გვითხრიან, თვითონვე სამარდებიან!..

ხავს-მოდებულ საუკუნეთა უხსოვარ წარსულიდან დღეს მოიჩქარიან ძველ ქართველთა ჩრდილინი: მათი გული, ჰაერის ლივლივთან ერთად, სიხარულით სძგერს, ფრინველთა ჭიკჭიკვალლობა მათი სიმღერაა, ცხრა თვალა მზის სხივები მათი შვების ღიმილია. შვებით აღვსილან რომ არ დაიკარგა საუკუნოდ მათი სახელი—მათი მსხენებელი კვლავ ცოცხალია და სახელოვან ოცდა ექვს მაისობაზე იწვევს მათ, თავის წინაპრებს!..

დღეს მთელი საქართველოს მაჯის ცემა, სიცოცხლის სუნთქვა, თითქოს ერთს უზარმაზარ სხეულში იყოს მოთავსებული—საქართველო გადაქცეულია ერთ დიდებულ გულად, რომელიც იშლებ-იკუმშება ყოველი ქართველის გულის მოძრაობასთან ერთად..

იმედი მომავლის მოკაზმულობის, თვალ-წარმტაც სამოთხის დამკვიდრების მარადისებურ საწუთროში; თავდადებული სიყვარული მამულისა და მოყვანის, უამრავ გმირთა მოწამებრივ სიკვდილით დაგვირგვინებული, მზად ყოფა ომისა და ზავისათვის, შავი მუშაობისა და მეცნიერულ ჭვრეტისათვის, ხელოვნებით და ბუნებით დატკობისათვის—აი ფერადი ხლართები საქართველოს დღევანდელ ყვავილთ-გრაფნილში, ისტორიულად შეხამებულ ფონზე გამოკვეთილი!..

ეს დღე ცოცხალი ბიროვნებაა, სურვილთა აღვსებაა, საქართველოს მეკვდრეთით აღდგომაა, ეს დღე აღთქმული თაიგულია მთელ ვარდის თვეში!..

და სანამ ერთი კაცი მაინც დარჩება ქართულად მოლაპარაკე, სანამ ცა მალლიდან იქნება დედა მიწის დამყურე, სანამ იარსებებს დროს დანაწილება დღეებათ და ღამეებად—მანამ ოცდა ექვსი მაისიც იბრწყინებს ჯადოსნურათ, ენით გამოუთქმელად, კალმით აუწერლად..

როგორც მზე ცის მნათობთა შორის, ეს დღეც მრავალ დღეთა შორის ჩვენი რჩეულია, სათაყვანო!

სავლე აბულაძე.

სამშობლოს მუველ ჯარის კაყებს.

იყო დრო, როცა ჯარის კაცს ნება არ ჰქონდა თეატრში შესვლისა და ყაზარმებში წიგნის შეტანისა, თუ იგი წინ და წინვე უფროსისაგან ნებართვას არ მიიღებდა.

ეს იყო ძველი რეჟიმის დროს. რატომ?—იმიტომ, რომ მაშინდელი ბიუროკრატიული წეს-წყობილება უსამართლობაზე იყო აგებული: თვითმპყრობელი მეფის ინტერესი მოითხოვდა ხალხზე ხანგრძლივ ბატონობას და ხალხის ინტერესი კი—ამ ბატონობის მოშლას, მონობის უღლიდან თავის დაღწევას და მის ადგილას თავისუფლება—თანასწორობის დამყარებას.

ამ ნაირად, ხალხის სამართლიანი მოთხოვნები და ინტერესი ძველი წეს-წყობილების დროს ეჯახებოდა თვითმპყრობელი მეფის უსამართლო მოთხოვნებებს.

ბევრი ბრძოლისა და მსხვერპლის შემდეგ, სამართლიანობამ სძლია უსამართლობას: ხალხმა ძირს დაანარცხა თვითმპყრობლობა და მის ადგილას აღმოაცენა ახალი, დემოკრა-

ტიული წეს-წყობილება — რესპუბლიკა, რომელშიაც ჯარის კაცებს არამც თუ უკრძალავენ თეატრში შესვლას და ყაზარმებში წიგნების შეტანას, არამედ თვითონ უმართავენ ამავე ყაზარმებში თეატრებს, უნივერსიტეტებს, სკოლებსა და სამკითხველოებს.

სწორეთ ამ მიზნით არის დღეს დაარსებული სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექცია, რომელსაც ორი უმათავრესი მიზანი აქვს დასახული: პირველი — შეგნებული მფარველი ძალის შექმნა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისთვის და მეორე — სამსახურ გათავებულ ჯარის კაცების შეგნებულ მოქალაქეებათ დაბრუნება თავ-თავიანთ ოჯახებში.

დღევანდლამდე ასეთ მუშაობას ჯარში კერძო თაოსნობის ხასიათი ჰქონდა. დღეიდან კი მას სახელმწიფოებრივი სახე და ფორმა ეძლევა, ვინაიდან ამ საქმისთვის საჭირო შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა უკვე დაამტკიცა რესპუბლიკის მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ. ამ შტატის მიხედვით თითოეულ ათასეულს ეყოლება ერთი მოქალაქე მასწავლებელი და ერთიც — ოფიცერი, რომელთა მუდმივი საზრუნავი საგანი ჯარის კაცთა განათლება-განვითარება იქნება.

ამ ნაირად, დღეს თქვენ, თავისუფლების დარაჯო ჯარის კაცებო, ისეთი ხალხური წეს-წყობილების დასაცავათ ხართ მოწოდებული, რომელშიაც ჯარის კაცებს საშუალება ეძლევა, ერთ და იმავე დროს, სამშობლოს წინაშე მოვალეობაც მოიხადონ და ცოდნა-განვითარებაც შეიძინონ.

თუ წინანდელი ბიუროკრატიული წეს-წყობილების მესვეურნი განძრახ ცდილობდნენ ხალხის გონების დაბნელებას, დღევანდელი ხალხური წეს-წყობილების მთავრობა სცდილობს რაც შეიძლება მალე შეიტანოს ხალხში სინათლე და შეგნება — განვითარება.

ამ ახლათ შექმნილ წეს-წყობილებაში ხალხის ინტერესი იმავე მთავრობის ინტერესია და მთავრობის ინტერესი — კი — ხალხის.

თუ წინეთ სრულიათ უმიზნოთ, ჩვენივე ინტერესების წინააღმდეგ, ცხრა მთას იქით ვეაბრძობდნენ, დღეს ჩვენივე ხალხის ინტერესების დასაცავათ, მოპოვებულ თავისუფლების განსამტკიცებლათ, ვდგევართ ჩვენივე სამშობლოს საზღვრებზე...

და, აბა, რომელი გათავებებული მტერი ვაბედავს ჩვენი რესპუბლიკის შეგნებული ჯარისთვის თქმას: გზა მომეცი, მოვდივარ შენი მშობელი ერის დასამონებლათაა?!

დიახ, შეგნებულ მფარველ ძალას რა გინდ მცირე რიცხოვანი იყოს იგი, ამის თქმას ვერ გაუბედავს ვერც ერთი მტრის ძალა და ამიტომ გისურვებ თქვენ, სამშობლოს მცველნო ჯარის კაცებო, შეგნებას — განვითარებას, მოვალეობის პირნათლათ შესრულებას, ხოლო სამსახურის გათავების შემდეგ კი სახელოვანათ და ჯან საღად თავთავიანთ ოჯახებში დაბრუნებას.

ტიტე ართმელაძე.

რას ვგანსჯის აღარბიჯანთაჲსი მითი?

საქართველოს საზღვრები კვლავ იღებება სისხლით. სამშობლოს ლომგული ვაჟკაცი გმირულად ხედებათ თათარ-ოსმალ-ბალშევიკთა გათავებებულ ბრბოების ტყვიებს და თავის მხრივ შეტევით მიემართებიან წინ ბუნებრივ სტრატეგიულ ადგილების დასაპყრობად. დაქირავებული ბოლშევიკები, ჩალმიანი „კომუნისტები“ და ოსმალის ასკერები შეხმატკბილებულად ესხმიან ჩვენს საზღვრებს.

რად? რისთვის? როგორ მოხდა რომ გუშინდელი მოსისხლე მტრები დღეს ერთმანეთს უმეგობრდებიან?

ჩვენს თვალწინ იშლება მსოფლიო პოლიტიკის მორიგი

ონიზაზობა. ანგარიში, ინტერესთა დროებითი ერთიანობა — რა ამოძრავებს ყველა ამ კოალიციას? რა ხსნის სახელმწიფოთა ურთიერთ შორის კავშირებს?

რუსი ბოლშევიკი ხელს უწყობს ადერბეიჯანის თათარ-უკანასკნელს სული მისდის ოსმალის ფაშების დაპატრონებში შოლოდინში, ხოლო ოსმალეთის მესვეურნიც ქიამილ-ფაშა მეთაურობით ხომ ადრევე შეეკვრნენ პირობით მოსკოვის სენარკომს.

ადერბეიჯანმა გაჰყიდა თავისი დამოუკიდებლობა. მისი კარები გაუღო ჩრდილოეთის მპყრობელურ ზრახვებით ვაჟლენთილ ძველს ბატონს და თავის ვაგლახ არსების შენარჩუნების იმედს მხოლოდ განწირულ ოსმალეთის დახმარებაზე თუ ჰხედავს. „მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარის კარებამდე მიმიყვანო“ — ასე მოსდის ადერბეიჯანსაც.

ადერბეიჯანის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მოკლე განხილვაც დაგვარწმუნებს, რომ ეს უკაცრაული პასუხი „სახელმწიფო“ უეჭველად უნდა გაეწიროს იმ ელემენტებს რომლებიც საქართველოდან გაძევებულ იქნენ, როგორც ჩვენნი დემოკრატიული რესპუბლიკისათვის შეუფერებელი და აშკარა კონტრ-რევოლუციონერნი. ადერბეიჯანმა შეიგუა, შეივრდომა და მასპინძლობა გაუწია საქართველოთი უკმაყოფილო მეფის ყოფილი ხელისუფლები და სხვა და სხვა ჯურის მოხელეები. დიდი ხანია რაც მზადდებოდა ეს თვითგანწირვა, უკე რომ ვსთქვათ, თვითდაღუპვა და მოსპობა ადერბეიჯანის სახელმწიფოებრივობის ყოველივე ნასახისა. შესაძლებელია მაჰმადიანთა გულის მოსაგებად მოსკოვის მთავრობამ კიდევაც გაუბოძოს „წითელ ადერბეიჯანს“ დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ გულუბრყვილობათა ვასაბრუნებლად გადმოსროლილი ლამაზი დაპირება, ხოლო ის ეკონომიური ბაზა, რომლადაც გაიხდის საბჭოთა რუსეთი ბაქოს, ასჯერ და ათასჯერ აღემატება სანაცვლო დათმობას ადერბეიჯანის მაჰმადიანობისათვის პოლიტიკურ საკითხებში.

ადერბეიჯანი თავისთავად ვერ შესძლებდა თავისი მხარის (სახელმწიფოზე ლაპარაკიც ზედმეტია) მოვლასა — ბატონობას და ამიტომ ის ერთ ხელს დახმარებისათვის უწყობს რუსეთს, ხოლო მეორეს — ოსმალეთს. პოლიტიკური შედეგი ასეთი ნაბიჯისა მეტად მარტივი და გასაგებია. ადერბეიჯანი ამიერიდან ვახდა ორ ისტორიულ მოქიშვე სახელმწიფოს — რუსეთისა და ოსმალეთის, — ხოლო ამ ბოლო დროს ვეროპის სახელმწიფოთაგან (განსაკუთრებით ინგლისის) შორის მუდმივი ცილობის საგნად, ვინაიდან აქ, ადერბეიჯანში, სძევს გასაუგლი გზა სპარსეთსა, ინდოეთსა და სხვა სამაჰმადიანო ქვეყნებში. ადერბეიჯანი მოკვდა, როგორც სახელმწიფო, მაგრამ ის იარსებებს, როგორც მსოფლიო ინტერესთა შეურთებლობის მასაზრდოვებელი და წამახლისებელი.

ადერბეიჯანი უშნოდ იმეორებს იმას, რაც იძულებით ჩაიდინა საქართველოს ბრწყინვალე წოდებამ მე-XVIII საუკუნის გასულს: საქართველომ მაშინ კარი გაუღო რუსეთს დარი-ალის ხეობიდან. ეს ნაბიჯი საქართველოსი იყო იძულებითი და მოასწავებდა რუსეთის დახმარებით სპარს-ოსმალთა დამარცხებასა და განდევნას ამიერ-კავკასიიდან. ადერბეიჯანი თითქოს სამაგიეროს გადახდისათვის გამზადებულა და ცდილობს ერთმორწმუნე ოსმალეთისა და თვითონ რუსეთის საშუალებითაც დაიპყროს ურჩი და მოუსვენარი საქართველო. მაგრამ ერთი რამ ავიწყდება მას. ოსმალეთთან კავშირი ნიშნავს წყალწოდებულისათვის ხელის ჩაკიდებას, ხოლო რუსეთთან დაახლოვება და ჩრდილოეთიდან ჯარების შეჭრა ბაქოში ადერბეიჯანის სახელმწიფოებრივობის მოშლასა და გაუქმებას. ამავე დროს კი საქართველო ახერხებს მოსკოვის მთავრობასთან საპატიო ზავის შეკვრას და მით სახტად რჩება თვითგანწირული ადერბეიჯანი და დაუთრებოც ერევა მას.

საქართველო ჩამოშორდა რუსეთს, მაგრამ კვლავ მოახერხა მასთან საერთო ენის გამოჩახვა. ადერბეიჯანიც ჩამოშორდა რუსეთს, ვერ გამოიჩინა უნარი დამოუკიდებლად არ-

სებობისა და იძულებული გახდა ისევ ჩრდილოეთის ბატონის წინაშე მოეხარა ქედი. საქართველო ამდენხანს კეთილგანწყობილებაში იყო ინგლისთან და არის ნიშნები, რომ მსოფლიოს სახელმწიფონი, ინგლისმაც რომ ეს გადაჭრით მოითხოვოს, არ გასწირავენ საქართველოს, რომელიც შავი ზღვის პირად მდებარეობისა გამო უშუალოდ უკავშირდება ევროპას და მით მთელ მსოფლიოსაც. ადერბეიჯანმა ყოველ შემთხვევაში გადაიმტერა მოკავშირე სახელმწიფონი და მას სულთანოვის ექსპერიმენტის შემდეგ საერთოდ ყურადღების ღირსადაც კი არ გახდინა ევროპაში.

მომაკვდავი ადერბეიჯანი გარეშე ძალების დახმარებით ომს უცხადებს საქართველოს. საქართველო დაამარცხებს პირველ ყოვლისა ამ გარეშე ძალებს იმიტომ, რომ ისინი როგორც დაქირავებულნი და თავის სახელმწიფოებრივ ფარგლებიდან უცხოეთში გადმოხვეწილნი, აქ, საქართველოს საზღვრებზე, ვერ გამოიჩინენ იმ თავდავიწყებასა და სულიერ აღფრთოვანებას, რომელიც უეჭველად ახასიათებს საქართველოს ჯარსა და გვარდიას. ადერბეიჯანიდან შემოჭრილ ბანდებს თან მოაქვს ჩრდილოეთის ანარქია. სამოქალაქო ომისადმი მოწოდების ყოველით მოეშურებიან მშვენიერ საქართველოში და ანგარიშს არ უწყევნენ იმ გარემოებას, რომ ქართველ ერს ნაკლებად სჩვევია თავის თანამემამულეთა სისხლის განუკითხავად დაღვრა და გაბოროტებული შურისძიება. ანარქიის საწინააღმდეგოდ საქართველო ახვედრებს გათავებულ მტერს შეკავშირებულ დემოკრატიის ნებას, მის შინაგან სიმტკიცესა და წესიერებას. ამ ძვირფას საუნჯეთ შეუძლიანთ წელში მოდრიკონ ვერავი მტერი და ფიცი დაადებიან საქართველოს სისხლით შეღებილ საზღვრებზე, რომამიერიდან იგი ასეთს ავანტიურას აღარ გაიმეორებს.

ჯარისა და გვარდიის მოვალეობა ანა თუ დროებითი ზავის მოპოვება, არამედ მათ ისეთი სასიკვდილო მახვილი უნდა ჩასცენ მტერს, რომ შემდეგ ვერ შესძლოს სამაგიეროს გადახდის სურვილის გულში გატარებაც კი.

საქართველოს, მხედრობას დამოუკიდებლობისა და თავიუფლების დაცვაში, ეს მეორეჯერაა რომ 26 მაისის დღესასწაულის გადახდა ფრონტზე უხდება. მით უფრო უნდა გასაღკლდედეს გული ჩვენი მეომრებისა, რომ შავი ზრახვებით შეპყრობილი და მუხანათური დალატით შერცხვენილი ადერბეიჯანი თავის დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად სხვააც ამას უსურვებს და არ ერიდება მეზობელ ერის წახდენასა და დაქვეითებას.

მკვდარი ადერბეიჯანი ომს უცხადებს ჯანსაღ და რაინდულ თავგანწირულებით ცნობილ საქართველოს. ანარქია ებრძვის წესიერებას, ველურობა და სიბნელე კულტურასა და განათლებას. კულტურამ უნდა სძლიოს სიბნელე და სიველურე ეს არის დევიზი ისტორიული მსვლელობისა. კულტურული საქართველო დაამარცხებს უკულტურო და ნახევრადფეოდალურ ადერბეიჯანს და მის ამყოლ გარედან შემოჭრილ ბანდებს. ამის თავდებია ჩვენი სახელოვანი ჯარისა და გვარდიის თავგანწირულება, ქებული სიმამაცე და ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვებანი.

დ. არონიშვიძე.

ჟურნალი „მხედარი“

ჯერ კიდევ ისეთი დროა, რომ თუ სახელმწიფოს ჯარი არა ჰყავს მისი არსებობა ყოველად შეუძლებელია. მართალია საქართველო პატარა კუთხეა, ქართველები მცირე რიცხვი ვართ, მაგრამ ჩვენი მცირე ჯარით ამ ორი წლის განმავლობაში არა ერთი მტერი შევმუსრეთ. ჯარი რომ არ გვყოლოდა? შენი მტერია, დღეს საქართველო რა მდგომარეობაში იქნებოდა! ამით ჩვენ ის გვინდა ვსთქვათ, რომ ჯარი, მხედრობა სახელმწიფოსთვის საჭიროა. როგორ ფიქრობთ, როგორი მხედრო-

ბა სჯობია განვითარებული, მომზადებული თუ განუვითარებელი? განვითარებული ჯარი არასოდეს არ გადადგამს შემცდარ ნაბიჯებს, არასოდეს არ წამოეგება ამა თუ იმ პროვოკაციის მიერ გადასროლილ ანკესზე. განვითარებული ჯარი მტკიცეთ იცავს არსებულ წესწესიერებას. განვითარებული? ყოველთვის რყევაშია, დღეს ბალშევიკია ხვალ მონარხისტი და ზეგ ანარხისტი. ჩვენ სახელმწიფოს ეპირვება განვითარებული ჯარი, შეგნებული მხედრობა, რომ დაფასოს დღევანდელი დემოკრატიული წესწყობილება და ურყევად დაიცვას იგი. ამ მხრივ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ჩვენი ახალგაზრდა ჯარისთვის ჟურნალ „მხედარს“, ეს ჟურნალი განვითარების სხივი იქნება, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩვენს დამოუკიდებლობას ჯარში პროპაგანდა-აგიტაციის გაწევით. უსურვოთ ჟურნალის ხელმძღვანელებს საქმის ნაყოფიერება.

შალვა გომართელი.

აღთქმა.

აღთქმა მივეცი ჩემს თავსა,
 შევფიცე ყველა რჯულებსა,
 გულახდით ვამბობ, მიჭებო,
 სიტყვებს აქ წარმოქმულებსა,
 რა დავლევ-აღთქმა მივეცი—
 ჩემი შეილების გულსება!
 თვალი გავაღე, გავხედე
 ვაჟკაცებს დარაზმულებსა.
 ოჰ, თქვენი ღმერთის ქირიმე,
 რა ამბავია, ბიჭებო?
 ჩემი სიცოცხლის ღმერთებო,
 ბრძოლის გამირნო და ნიჭებო!
 — არაფერია, შენ გელით,
 იქნებ გაბედო, დალიო;
 დროს მოცდა აღარ სჭირია,
 აქმე არ გაიხვალთო.
 თუ მოხვალ ყველა შენთან ვართ,
 არა და-ნულარ იქნები,
 ნურც ყვავილთ ენაცვალები,
 ნურც სანთლად ჩამოიქნები.
 რამდენიც გინდა გვიშალო
 მაინც ავიხსნით თავებსა,
 შევებრძოლებით უშენოთ
 მგლებს, დათვებს, აფთარ-სვაგებსა.
 — სისხლი არ მიყვარს, სათნო ვარ,
 თქვენც იცით უეჭველია,
 ენის ძირს ვაძრობ ჩემის ხმლით
 სადაც მელა და მგელია.
 და თუ მივიდა იქამდის
 რომ სისხლი ვსვა თუ ვალიო,
 მლილად ჩამთვალოს სამშობლომ
 თუ აღთქმა გავიხვალთო.
 მოვდივარ ბრძოლად მეც თქვენთან.
 ვაჟკაცნო დარაზმულებო,
 ჩვენი სამშობლოს დარაჯნო,
 ჩემო სულო და გულებო!

შიო მღვიმელი.

ჩვენს გვირგვინს.

ასარას სისხლი მოსწყურდა,
 ბასარას—ხორცი კაცისა;
 ლაზრებს აღძრათ სურვილი
 გმირობის, სიმამაცისა.

შეჰყარეს ნაყარ-ნუყარი
 ფარა ცხვრისა და ვაცისა,
 ამითი უნდა დაეპროთ
 კიდე სხვა მიწის, სხვა ცისა.

წამხდარი ასარ-ბასარა
 ჩუმად მოგვადგენ კარებზე,
 ყვავ-ყორნის მათრახობელები,
 ჩერებ ჩამოკმულნი სარებზე.

სხვათ რომ ძმად ეფიცებოდნენ,
 ჩუმად ელესათ კბილები,
 მსუნაგებს მეტის ნდომისგან
 დასიებოდნათ ღრძილები.

მაგრამ ვაჟკაცის სისხლს და ხორცს
 ჯერაც ვერ დასწაფებთან,
 თვალები უკან უქირავთ
 და კურდღელივით ფთხებთან.

აქ ლომებს როდი ეძინათ,
 არც ოდეს დაუძინათ:
 არ ახსოვს ისტორიასა,
 რომ გამხდარიყვნენ ფინიათ.

მა მინაც, უწინ და დღესაც
 ხმლებს აშკარადა ლესავენ:
 მტერს იმას ამკვივნიებენ,
 რასაც სიძალდით სთესავენ.

უსისხლოდ ომი არ ხდება:
 ჩვენი წანკწარებს ცვარადა,
 ვერაგის სისხლი ცლდება,
 მიდის და მიდის ღვარადა.

ჩვენში რომ ცოტამ იმატოს,
 მაინც მივითვლით არადა,
 თეთრი გიორგი წინ გვიძღვის
 შვილის მნათობით ფარადა.

მტლედ დავედებით სამშობლოს,
 შევეწირებით ზვარადა
 და არ გავხდებით არას გზით
 მტრის გულის გასახარადა!

მედგრად! წინ გასწით, ვეფხვებო,
 ომი იგულეთ ღვინადა,
 მკერდით გააპეთ მტრის ურდო,
 და ელეწენით რკინადა!

ქედ ძალნი, ტყვიით გავმირულთ
 რომ გვიკრის მკლავს და ენასა,
 ნუ თუ ეს უძევს კანონად
 იმათ რჯულსა და რწმენასა?!

ჩვენ ამას როდი ჩავიდნეთ,
 არ შეგნის გმირთა შვილებსა,
 მალე ვიხილავთ მურდალ მტერს
 ჩვენს წინ ქედ მოდრეკილებსა.

ზიზღი და ფურთხი ჯიჯგვის წილ,
 კრულვა და წყევა ყველასა,
 თავზე როსკიპის ლეჩაქი
 იმათ წინამძღოლ მელასა!...

მკლავებს გიკოცნით, გმირებო,
 გულზე ნათელის ფენითა,
 დაჰკარით მედგრად! სამშობლო
 დღეს ცოცხალია თქვენითა!

შიო მღვანელი.

ქუჩაზე

(შემთხვევა).



მთხვევა

ნაწვიმარი საღამო ხანი იყო. ბუნებრივი მკაცრული
 ბოდი.

ღრუბლები აქა-იქ დახეულიყო და მზე, როგორც ახლად
 პირ დაბანილი ჰაბუკი, საამურად გამოიყურებოდა, მოწმენ-
 დილი სახე უცინოდა.

ქუჩას მტვერი აღარ ასდიოდა, ალაგ-ალაგ გუბეებიც კი
 იდგა; სიგრილე ადამიანს გულს უხალისებდა.

ხალხი ქუჩაში ბუზივით ირეოდა, სადღაც მიეშურებოდა
 და თან ენას დაუცხრობლად ამუშავებდა.

საგანი ადამიანთა ლაპარაკისა იყო ახლად დაწყებული
 ომი საქართველოსი.

ზოგი ამართლებდა მას, ზოგი ამტყუნებდა; ზოგი მწა-
 რედ განიცდიდა ომის მომავალს შედეგებს, ზოგი კი თითქოს
 სიამოვნებით და კმაყოფილებით ახასიათებდა ჩვენი ქვეყნის
 გასაქირს და შესაძლებელს ზიანს...

აზრთა სიმრავლე იყო ჭრელი, მრავალ მხრივი, მკვეთრი...
 ამ დროს შემომესმა საკრავთა ხმა და ხალხშიც გაისმა:
 — ჯარი მოდის!...
 — გვარდია არის!...

ყველანი შევჩერდით და მოულოდინეთ მათს გავლას.
 მახლობელ ქუჩიდან მართლაც გამოჩნდა ქართული ხალ-
 ხური გვარდია, რომელსაც წინ მესაკრავენი მოუძღოდნენ და
 გატაცებით უკრავდნენ სამგზავროს...

ქუჩაზე თითქოს ყოველნაირი მოძრაობა შესწყდა; მხო-
 ლოდ გვარდია და მოძრაობდა, მიიკლაკნებოდა.

მიდიოდნენ მწყობრად, მაგრამ თავისუფლად. არ სჩანდა
 ძველებური ძალდატანებული გაჭიმულობა; ფეხ-აწყობით თა-
 ვისუფალი მოძრაობა მათი ტანისა დიდებულს სანახავს წარ-
 მოადგენდა...

რაზმებიც მოზრდილი იყო.

მე მთლად თვალებად ვიქცევი, მინდოდა ყოველი მათგა-
 ნი დამეთვალეებინა; ყველას სახეზედ ამომეკითხა ბედი, თუ
 უბედობა ჩვენი მომავლისა...

სახე სარკვე სულისაო...
 მეც ამ სარკვეში ხარბად ვიყურებოდი და ვკითხულობდი
 იქ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას...
 იქ ეწერა მომავლის იმედი, სიყვარული ხალხის, თავისი
 ქვეყნისა...

იქ მოსჩანდა გულადი მკერდი, შეუღრეკელი ნება გამარ-
 ჯვებისა.

ზედ აღბეჭდილი იყო ისტორიულად გადმოცემული სა-
 ხე თავისუფალი ქართველისა, დამოუკიდებელ ქვეყნის შეი-
 ლისა...

ნათლად გამოსჭვიოდა თვალებში მტრის შემმუსრავე
 აღფრთოვანება და მტკიცე გადაწყვეტილება—თავის მიწა-
 წყლის დაცვისა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე...

მაყურებელი ხალხი ძალაუნებურად ემორჩილებოდა მათს
 გულის პასუხს მტკიცეს, შეურყეველს...

ხალხიც ჰგონებდა, რომ ეს გულის პასუხი ამ მეომრე-
 ბისა უქმად არ ჩაივლის, განაღდებული იქნება სულ ახლო
 ხანში იქ—საზღვრების დაცვის დროს...

ჩემს წინ მიდიოდა რაზმები...
 ამ დროს საკრავთა ხმა შესწყდა, სიჩუმე გამეჟდა ქუჩა-
 ზედ, მხოლოდ მიმავალ გვარდიელთა ფეხის ხმა და ისმოდა...
 მაგრამ უცებ მათი ფეხის ხმაც შესწყდა... რაზმები შეს-
 დგა... წინა რაზმს რალაც დაბრკოლება გადაეღობა და მოძ-
 რაობა შეჩერდა.

ჩემს წინ ახალგაზრდათა შორის ერთი უფრო ხნიერი, ქ-
 ლარა-შერთული გვარდიელი, რომელიც დარბაისლურად იდ-
 გა და წინ გახედვით სცდილობდა შეჩერების მიზეზის გ-
 გებას.

ყველაზედ ნაკლები სიმხიარულე იმის სახეს ეტყო-
ბოდა...

მე ეჭვი შემებარა, გულში გამკენწლა: ვაი თუ ეს კაცი
ძალად მიჰყავთ; გულში, ვინ იცის, როგორ ილანძღება; მით
უმეტეს იგი ხნიერია და არ მოჰყვებოდა გაწვეულებში...
გულმა ველარ მომიტმინა, მიველ ახლომასთან და შევე-
კითხე:

— სადაურები ხართ, ძმობილო?
— ქართლიდან.— მოკლედ მომიჭრა პასუხი.
— ქართლი დიდი მხარეა, რასოფლიდან?— მე მაინც ჩავე-
კითხე.

— სოფელ კ—დან.— კიდევ მოკლედ მიბასუხა მან და შე-
მომხედა ისეთი თვალით თითქოს ახლა იმას აღეძრა ეჭვი
ემს შესახებ— ეს კაცი რას ჩამცივებია, ნეტავ რა უნდაო...

მეც თვალეში შევხედე...
თვალეები ჰქონდა ნათელი, უღრუბლო და მჭრელი!
ამ თვალეების ყურებას კაცი დიდს ხანს ვერ გაუძლებდა.
რომ შემომხედა, მკითხა:

— რათ მკითხებენ? რა გინდაო?
— ისე, მინდოდა გამეგო, სადაურები ხართ, მხოლოდ.—
ვუბასუხე მე.

— ისე, ისე!.. თითქოს გამოჯავრებით გაიმეორა ჩემი სი-
ტყვა და შემდეგ დარღმინდულ სიამაყით, თითქმის მედიდუ-
რად დაუმატა:

— რა საჭიროა ეგ... სულ ერთი არ არის სადაურებიცა
ვართ!.. ჩვენ ყველანი სამშობლოს შვილები ვართ, სამ-
შობლოს დასაცავად მივდივართ და მოვალენიც ვართ!..

ჩემი აღტაცება ველარ დავფარე და შევძახე:
— ვაშა, ვაჟაკო, ვაშა!..

მაგრამ მისი სიტყვები საყვედურადაც მომესმა. შიგ მხი-
ლებასავით რაღაც ვიგრძენ— ვითომ რატომ შენც ჩვენთან არ
ხარო.

და რომ ეს მხილება გამექარვებინა, მისი ეჭვი გამეფან-
ტა, ვუთხარი:

— ჩვენებური ბიჭებიც წავიდნენ და იქ დაგხვდებიან...

იმან გაიღიმა, სახე გაუნათლდა, ზედ მზის სხივები შეუ-
თამაშდა, წარბები გაეშალა და ტკბილად მიბასუხა:

— კეთილი, ჩვენც იქ მივალთ და ვაჩვენებთ მტერს, რა
ბიჭები ვართ ჩვენ ყველანიო...

ამ დროს რაზმი ისევ დაიძრა.

საკრავებმა ხმა ამოიღეს და ჩემი მოსაუბრე გვარდიელიც
გამშორდა. თავი კი დამიქნია გამომშვიდობების ნიშნად.

— გამარჯვებულიც მენახო დაბრუნებული!..

მივაძახე კარგა ხმა მალლა და თვალი გავაყოლე იმ კაცს,
რომლის შესახებაც მკირეოდენი ეჭვი ამეძრა უსაფუძვლოდ
შეცდომით...

ვუყურებდი და ვგრძნობდი, რომ ასეთი სიტყვების მთქმე-
ლი ხალხის შვილები უეჭველად მტერს დაამარცხებენ, გამარ-
ჯებულნი დაბრუნდებიან...

გვარდიელთა ფეხის ხმა იკარგებოდა საკრავთა ხმაში...

ხალხმა გადიყარა რინდი, გამოერკვა და გაუდგა ყველა
თავის გზას.

ქუჩა ახმაურდა ჩვეულებრივად, თითქოს მახლობელ საზ-
ღვარზედ ზარბაზნები კი არა გრიალებს, არამედ შეურყეველი
სიმშვიდე და სიწყნარეაო...


და ეს სიწყნარე ქალაქში შედეგი იყო ამ გვარ რაზმთა
სიმტკიცისა, სიმხნევისა და სამშობლოს სიყვარულისა.

— იყავით გამარჯვებულნი მარად!

გავივლე გულში ერთხელ კიდევ მხურვალე ლოცვასა-
ვით და მეც გაუღექ ჩემს გზას...

დ. ნახუცრიშვილი

ლაშქრული.



გავშალოთ დროშა ქართული, ხელი ხელს მივცეთ ძმურადა,
მამულის გამოსახსნელად წინ გასწით შაქრულად...
თავი გვაქვს გადადებული სამშობლოს სიყვარულით
ძმებო, მოსეულ მტარვალეებს ვეკვეთოთ ვაშაკურადა!

გახსოვდეთ, ძმებო, ჩვენა ვართ ჩვენი მიწაწყლის მცველია,
იგი არ დაეთმოთ უსისხლოდ, შევლებოთ მთა და ველია!
თავისუფლებების დროშაზე მტკიცედ გვეჭიროს ხელია
მამულისათვის სიკვდილი არ არის სანალღველია!

მხედარნო, ქართველი ერი დღეს წელში გამართულია,
სამშობლოს აღორძინება გულში აქვს დანერგულია,
თან მოაქვს თავისუფლება, ძმობა და სიყვარულია,
სხვა ერთან ძმური კავში მისი რწმენა და რჯულია!

ფ. რუშაველი

სამშობლოსთვის თავდადებულნი

(გუძღვნი ჯარის კაცებს)

ოთხი ათას წელზე მეტია, რაც საქართველოს სახელმ-
წიფო არსებობს; ამ ხნის განმავლობაში დიდი გაჭირვება უნა-
ხავს ჩვენს სამშობლოს.

არც ერთს ერს დედა მიწის ზურგზე არ გამოუვლია იმ-
დენი ტანჯვა ვაება, როგორც ქართველებს.

საქართველო მეტად მდიდარი და ლამაზი კუთხეა და
ყველა ცდილობდა მის დაპყრობას.

ხშირად გადმოუღალხავთ ჩვენი ქვეყანა თურქებს თათ-
რებს, არაბებს, სპარსელებს, ბევრჯელ დედამიწასთან გაუს-
წორებიათ ყველაფერი, მონობის უღელი დაუდგამთ, უტან-
ჯივართ, მაგრამ ჩვენს გმირს წინაპარებს მაინც შეუძლიათ
მათი დამარცხება და მათი მონობიდან განთავისუფლება.

მტერი გვეჯობნიდა არა ვაჟაკობით, სიმამაცით, არა! ან
მხრივ ჩვენ, ქართველებს, ვერვინ შეედრებოდა; გვეჯობნიდნენ
მხოლოდ სიმრავლით. ერთ ქართველზე ათი მტერი მოდიოდ
და ეს იყო მიზეზი, რომ დროებითი გამარჯვება რჩებოდათ
ხოლომე; მაგრამ შეურჩევდნენ რა მოხერხებულ დროს, ჩვენებს
შეერთდებოდნენ და თავზარსა სცემდნენ დაუპატიჟებელ სტუ-
მრებს. გმირნი იყვნენ ჩვენი მამა-პაპანი და სამშობლოს სი-
ყვარულში და მისთვის თავის გაწირვაში ტოლი არ ჰყავდათ
ამისთვისაც მათი სახელი გავარდნილი იყო მგზობელ სახელ-
მწიფოებში და უცხო ქვეყნები ამაცობდნენ საქართველოს მე-
გობრობითა და კავშირით.

სამშობლოსათვის გმირული სიკვდილი სასახელო საქმ
იყო ყველა ქართველისათვის.

გმირის სახელით თავი მოჰქონდა არა მარტო გმირი
შვილსა, არამედ მთელს მაზრასა და სოფელს, რომელსა
გმირი ეკუთვნოდა.

სამშობლოსათვის თავდადებულთა რიცხვი უთვალავი
მხოლოდ მე ქვევით ზოგიერთ მაგალითებს მოვიყვან ჯერ ძვე-
ლი ისტორიიდან და შემდეგ დავასახელებ თანამედროვე გმ-
რებსაც.

ა) სამასი თავდადებული გლეხი.

ამ ას ჩვიდმეტი წლის წინად ქართლ-კახეთში მეფობდ
ერეკლე მეორე— „პატარა კახი.“ სპარსეთის მეფემ ალა-მამამ
ხანმა გამოიღლაშქრა საქართველოზე, უნდოდა ტფილისი აეღო

მეფე ერეკლე დამოკრძინებინა და ქართლ-კახეთზე ხარჯი დაედო.

ალა-მაჰმად ხანი 80-ათასი ჯარის კაცით მოადგა ტფილისს. ერეკლეს სულ ხუთი-ათასამდე მეომარი ჰყავდა. ბრძოლა ტფილისის გარედ მოხდა კრწანის ველზე (აბანოების ქვემოლ).

პირველ დღეს სპარსელები სასტიკად დამარცხდნენ და აქეთ-იქით გაიფანტნენ.

მეორე დღეს ალა-მაჰმად-ხანმა ხელახლავ მოუყარა თავი თავის უთვალავ ჯარს, გორებიდან შემოესია ტფილისს. ბრძოლამ დიდხანს გასტანა, თითონ ერეკლე მეფე, როგორც უბრალო ჯარის კაცი, ისე იბრძოდა და ამით უფრო ამხნევებდა მეომრებს. შაჰი გორაზე გადმომდგარი დასცქეროდა კრწანის ველს. მეფე ერეკლემ შესძახა თავის მეომრებს:

—ძმებო, ხელდავთ შაჰს? აბა, უჩვენეთ, როგორ იბრძვის ერეკლეს ჯარი!

ამ სიტყვების შემდეგ ერეკლემ მტერს სამასი საუკეთესო ფეხავ-ხვესური და არაგვის—პირელი გლეხი მიუსია. გლეხებმა ერთმანეთს შეჰფიცეს:

—„თუ ბედმა გვიღალატოს და ვერ ვსძლიოთ მტერი, შერცხვენელი იყოს, ვინც ჩვენგანი შინ ცოცხალი დაბრუნდეს, ან გამარჯვება ან სიკვდილი ბრძოლის ველზეო.“

გმირებმა ფიცი შესრულეს, არც ერთს მათგანს ზურგი არ უჩვენებია მტრისათვის; სულ გასწყდნენ, მაგრამ ასჯერ მეტი მტერი იმსხვერპლეს.

იმაზე აქვს დაწერილი ეს ლექსი გრიგოლ ორბელიანს:

აი სამასნი გმირები, დუშეთით თბილისს მოსულნი, მეფის შეწევნად და მის წინ მისთვისავე შეფიცებულნი.

„თუ გავვიწყრება ჩვენ დემრთი და ვერ გავსდევნეთ მტრის ძალი,

იყოს შერცხვენელი, ვინც ჩვენგან შინა წავიდეს ცოცხალი“.

და გარდნიწერეს პირჯვარი, ვაჟკაცებრ ხმალი იშიშვლეს, და შვარდნებრ მივარდნენ სპარსთა ურიცხვსა სიმრავლეს; შესძრეს, გაფანტეს, მაგრამ ახედ თავი თვისი დააკლეს. ფიცი ვაჟკაცთა წმიდა არს, მათცა სიკვდილით შემოწმეს.

ბ) გლეხი ბოსტაშვილი.

ერთხელ მეფე ერეკლეს ქარელ ლეკებთან ბრძოლა ჰქონდა. ბრძოლის დროს მეფეს ცხენი მოუკლეს. ჩვენი ჯარი უკან იხვედა, მეფეს ცხენი არა ჰყავდა, მის მახლობლად ვინმე ანდრონიკაშვილი ბედაურ ცხენზე იჯდა, ხალხმა დაუძა: —ცხენი მეფეს მიაართვია!

ანდრონიკაშვილმა კი მეფეს უთხრა:

—მობრძანდი, უკან შემომიჯექი, ჩემი ცხენი ორთავეს გვზიდავსო!

მეფემ მრისხანეთ უბასუხა:

—„ღმერთმა შენც შეგარცხინა და შენი ცხენიცაო!“

ამ დროს იქ ახლო ქიზიყელი გლეხი ბოსტაშვილი ცხენით იდგა. როცა გაიგო მეფეს ცხენი მოუკლესო, მაშინვე გადმოხტა, ცხენი მეფეს მიაართვა და მოახსენა:

—ჩემი სიკვდილი არაფერია, შენი კი—ქვეყნისათვის უბედურება იქნებაო.“

მთელი ჯარი აღტაცებით შეხვდა ბოსტაშვილს და დიდს ქებით შეამკეს.

ვ) იოთამ ზედგანიძე.

ერთდროს ჩვენი სამშობლო საქართველო აყვავების ხანაში იმყოფებოდა. ყველა მისი კუთხე: კახეთი, ქართლი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო ერთად იყო შეკავშირებული და ერთ ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. საქართველოს კეთილდღეობა და სიძლიერე არ მოსწონდათ მის გარეშე მტრებს. ისინი სცდილობდნენ, როგორმე მთლიანობა დაერღვიათ, შინაგანი განხეთქილება ჩამოეგდოთ, ერთი მხარე მეორეზე გადაეკიდათ და ამითი დაეუძღურებინათ.

მტრებმა თავისი სურვილი აღისრულეს და საქართველო სამ პატარა სამეფოდ გაიყო.

ამ საქმეში მტრებს დიდ დახმარებას უწევდნენ სამშობლოს გამყიდველი თავადები.

იმ დროს ქართლ-კახეთში მეფობდა გიორგი მეორე, რომელმაც მოიწადინა საქართველოს გაერთიანება და ძლიერ სახელმწიფოდ გადაქცევა. ამის წინააღმდეგი იყო ზოგიერთი მაშინდელი მთავარი და ხელს უშლიდნენ. მათ კიდევც გადასწყვიტეს ღამით გიორგი მეფის სიკვდილი. ეს ამბავი ვაზგო ვინმე იოთამ ზედგანიძემ, ეახლა მეფეს და ყველაფერი მოახსენა. მეფემ არ დაიჯერა, მას ვერ წამოედგინა, თუ ასეთ საზიზღრობას ვინმე ჩაიდენდა. მაშინ ზედგანიძე შეევედრა მეფეს:

—„მოიღე წყალობა, ნება მომეცი ამაღამ შენს საწოლში დავიძინო, შენ კი სხვა ადგილას მოისვენეო.“

მეფე დასთანხმდა ზედგანიძეს, დარწმუნებული იყო რომ ღამით ხედავდა არ მოკვდებოდა. ზედგანიძემ კი გადასწყვიტა თავი შეეწირა მეფისათვის, რადგანაც იცოდა, თუ რომ გიორგი მეფეს მოჰკლავდნენ, ამით მთელი სამშობლოს საქმე დაიღუპებოდა და საქართველოს გაერთიანების საქმე ჩაიშლებოდა. ამისათვის მან თავი სამშობლოს ანაცვალა.

მეორე დღეს, როცა მეფე თავის საწოლ ოთახში შევიდა, იოთამ ზედგანიძე სისხლში მცურავი ნახა. მეტად შესწუხდა და ბევრი ინანა.

თავდადებულ იოთამ ზედგანიძეს შეილები მეფემ დიდი თანამდებობითა და მამულებით დააჯილდოვა.

დ) ცხრა ძმანი ხერხეულიძენი.

სამასი წლის წინეთ საქართველოს საზღვარს მოადგა სპარსეთის შაჰი-აბაზი დიდ ძალი ჯარით და უნდოდა ჩვენი სამშობლო აეკლო.

ქართველი ჯარი მას გადაელომა წინ დღევანდელ ბორჩალოს მაზრაში. ბრძოლა სოფელ მარაბდასთან მოხდა. ამ სოფელში მაშინ ცხოვრობდა ერთი მოხუცი აზნაური ხერხეულიძე, რომელსაც ცხრა ვაჟი ჰყავდა. ხერხეულიძე მეტად მოყვარული იყო თავისი სამშობლოსი და შეილებიც ასე ჰყავდა აღზრდილი. ცხრა ძმანი ერთერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცები იყვნენ. ცხრა ძმა ხერხეულიძენი ერთბაშად ბრძოლის ველზე გაჩნდნენ და სხვა ქართველებთან ეკვეთნენ მტერს. სპარსელები ათჯერ მეტი იყვნენ ქართველებზე, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ, ქართველები ლომებსავით იბრძოდნენ და თავისი სიმამაცით მტერიც კი განცვიფრებაში მოჰყავდათ; სამის დღის განმავლობაში სისხლის ნაკადული არ შეწყვეტილა. ცხრა ძმანი ხერხეულიძენი საარაკოთ იბრძოდნენ და ვაჟკაცობით მთელს ჯარს აკვირებდნენ; არა ერთხელ აბრუნებინეს სპარსელებს პირი.

მეოთხე დღეს, მტერს დიდ ძალი მაშველი ჯარი მოემართა. დაქანცულმა ქართველებმა მტერი ველარ შეაჩერეს. ცხრა ძმა ხერხეულიძეებმა ერთად გმირულად დასდეს თავი ბრძოლის ველზე, მაგრამ მტერს კი ზურგი არ უჩვენეს.

ხალხური გადმოცემით, მათი დედაც ბრძოლის ველზე იყო და გმირ შეილებს მამაცური მოქმედებით სტკებოდა. როდესაც მის ერთს დაქრილს შევიდს დროშა ხელიდან გაუვარდა, დედამ აიღო და მეორე შეილს გადასცა.

ბრძოლის შემდეგ ბრძოლის ველზე ქართველებმა მონახეს ცხრა გმირის გვამები, დასაფლავეს დიდის ამბითა და მოწიწებით. ცხრა დიდი საფლავის ქვა დღემდისაც შენახულია მარაბდაში.

მეფე დიმიტრი თავდადებული.

დიმიტრი მეფე მეტად კაცთმოყვარე იყო. მუდამ დღე თავის ხალხზე და მათ კეთილ-შელობაზე ფიქრობდა. ღამით

ტანისამოს გადაიცვამდა და ხალხში დადიოდა, რომ მათი გაჭირება და ჭირ-ვარამი გაეგო.

მონგოლთა ბატონობის დროს (1274—1289 წ.) მონგოლთა ყვენმა მას ლალატი შესწამა და დიმიტრი მეფეს შემოჰუთვალა:

— დაუყოვნებლივ ჩემთან გამოცხადდი, თორემ მთელ საქართველოს ავიკლებო.

დიმიტრიმ თავისთან მიიწვია მახლობელნი და კათალიკოსი და მათ აცნობა ყვენის მუქარა. ყველამ ერთხმად სთხოვა მეფეს ყვენთან არ წასულიყო. დიმიტრიმ უპასუხა:

— ან მეფემ უნდა დასდოს თავი ერისათვის, ან ერმა მეფისათვის, მაგრამ რადგანაც სჯობს, ერთის ტანჯვა მინამ ბრავლის გაჟლეტა, ამისათვის შე წავალ; დეე მაწამოს ყვენმა, საზავიეროთ ჩემი საყვარელი სამეფო და ერი კი გადარჩება აოხრებას და გაჟლეტასა“.

კათალიკოსი და ხალხი ევედრებოდა დიმიტრის არ წასულიყო, მაგრამ მეფემ მაინც არ დაიჯერა, წავიდა და ყვენს ეახლა.

განრისხებულმა ყვენმა დიმიტრის თავი მოჰკვეთა.

მეფემ თავი დასდო, საკუთარი სიცოცხლე შესწირა სამშობლოს და ამით საქართველო განრისხებული ყვენის აოხრება-აწიოკებას გადაარჩინა.

აქვ. აბესაძე.

(შემდეგი იქნება).

თუშის ცოლი

(პატარა ამბავი თუშების წარსულ ცხოვრებიდან).

(ვუძღვნი ჩემ ძმისწულ თევას).

დაღამდა. სიბნელით მოიცო წოვათა*). ჩაეძინათ სოფლებს. მიინაბა, მიყუჩდა არე-მარე. არსაით ხმა, არსით ძახილი. ტკბილათ ჩასძინებოდათ ერთმანეთში ჩახუტულ მთებს. ამ სიჩუმეს, მყუდროებას არღვევდნენ თავიანთ ქუხილით მდინარეები. მოციციმე ვარსკვლავები ოდნავ აშუქებდნენ დედა მიწას.

მხოლოდ სოფელ ინდურთის ერთ სახლიდან მოსჩანდა სინათლე. ამ სახლში მისხდომოდნენ ცეცხლის ორნი—სტუმარ-მასპინძელი, შეექცეოდნენ სუფრას და ტკბილად მუსაიფობდნენ.

მასპინძელი იყო ფრიად მოხუცებული, აღარ ერეოდა იგი სოფლის ჭირ-ვარამში. გარეთ, სოფელში იშვიათად გამოდიოდა. თუ კარგი მზიანი, თბილი დღე იყო, მხარზე ქურქ-მოსხმული გამოვიდოდა თავის პატარა აივანზე და მყუდროში ითბობდა თავის ძელებს, თუ არა და იჯდა შინ ცეცხლის პირას მამაპაპის კერასთან ფიქრებში გაჩთული. მოხუცი არ ფიქრობდა აწმყოზე. აწმყო მას არ ახარებდა, არ ათბობდა მის გულს და არც ესმოდა. იგი წარსულს ეკუთვნოდა, წარსული ესმოდა მას. წარსულის მოგონება ახარებდა, ნეტარებას აგძნობინებდა და ათბობდა მის გულს, მთელ მის არსებას. ამისათვის მისი ფიქრები წარსულში ტრიალებდნენ, იქ ჰპოულობდნენ გულის გასახარს, გასათბობს... თუ ჰკითხვდნენ რასმებს, მაშინ თუ დაილაპარაკებდა, სხვა დროს იყო თავისთვის ჩუმათ, მაგრამ თუ შეხვდებოდა ვინმე და ჩამოვარდებოდა ლაპარაკი წარსულ დროებებზე, მაშინ მოხუცი მთლად გამოცვლებოდა, შედიოდა აღტაცებაში, სისხლი ძარღვებში აუჩქროლდებოდა, თვალეები გაუბრწყინდებოდა და მთელი მისი არსება მოძრაობაში მოდიოდა.

აღფრთოვანებით უამბობდა მოხუცი მსმენელს წარსულ დროის ამბებს; თავის ნანახს, გაგონილს, მტრის დახვედრას, მტერზე დაცემას: თუ როგორ თარეშობდნენ ქარ-ბელაქენლებზე, დიდო—დაღესტანზე და ქისტებზე, როგორ სწვავდნენ,

ჰბუგავდნენ სოფლებს, ერეკებოდნენ მთებიდან საქონელს და დავლით დატვირთულნი ბრუნდებოდნენ შინ. უამბობდა იმასაც, თუ როგორ დაეცნენ ლეკები, ან ქისტები ამა და ამ თუშის სოფელს, როგორ დაუხვდნენ მტრის მტრეები, ვინ ისახელა თავი და ვინ მოკვდა გმირულად და მისწამა თავის სისხლით საყვარელი სამშობლო მიწას!...

დიად, ესე უამბობდნენ მოხუცი ახალგაზრდებს, მამაპაპის მაგალითით უნერგავდნენ მათ გულში ვაჟაკობას, მამულისადმი სიყვარულს და მისთვის თავის განწირვას. ერთი სიტყვით ეს იყო სკოლა, სადაც იზრდებოდნენ და იკაჟებოდნენ მომავალი მამულის შვილნი, ეს იყო ბუდე, რომლიდანაც გამოდიოდნენ სამშობლოსთვის თავგადადებული გმირნი, სამშობლოს დამცველნი აუარ გარშემორტყმულ მტრისაგან, მისი მასახელებელნი, მადიდებელნი და მისთვის მკვდარნი!...

სტუმარი იქნებოდა ოცდა ათი წლისა. მისი მეტყველი სახე, ცეცხლის მფრქვევი მოეღვარე თვალეები, განიერი მხარბეჭი, მაღალი გულმკერდი, საერთოდ მთელი მისი არსება იზიდავდა კაცს თავისაკენ. აგრძნობინებდა, რომ ეს ვაჟაკი უნდა ყოფილიყო მძლავრი, ამაყი, ზვიადი და მასთან განსაცდელში უდრეკი და უშიშარი.

ასეთიც იყო. ამასაც მიეღო არა ერთი და ორი მონაწილეობა ქისტ-ლეკებთან ბრძოლაში, ენახა ხლმის წკება და ხანჯლის ტრიალი. როგორც ვაჟაკს ყურადღება უკვე ჰქონდა დამსახურებული თანამოძმეებისა. მას იცნობდნენ და იცოდნენ ვინც იყო იგი.

თუმცა არა ერთხელ ენახა სტუმარს ბრძოლის ცეცხლი, გაეგო მტრის კიჟინი, მაგრამ მოხუცის ლაპარაკი დიდათ მოქმედებდა მასზე. იჯდა მთლად სმენად გარდაქცეული. ყოველი სიტყვა მოხუცისა შიგ გულში სწვდებოდა, უთრთოლებდა გულს და უღვლეებდა სისხლს. ხანდახან კანკალი აიტაცებდა მთელ მის არსებას და მაშინ მის აღნთებულ თვალეებში იხატებოდა მთელი მისი სულიერი განცდა!..

— დიად!.. — ამოიოხრა მოხუცმა, რა გაათავა ლაპარაკი, — ვაჟაკნი იყვენ, თავ-გადადებულნი მამულისათვის. მამულისათვის სცოცხლობდნენ, მით ხარობდნენ... მთელ საქართველოში არ მოიპოვებ ერთი მტკაველი მიწაც, სადაც არ დანთხეულიყოს ჩვენი წინაპართა სისხლი. აუარი გარსშემორტყმული მტერი გაშმაგებული ეცემოდა საქართველოს, რომ წაეღეკა, მიწასთან გაეწოვებინა, მთლად აღმოეფხვრა დედა მიწის ზურგიდან და მით მოესპო მისი სახსენებელი, მაგრამ საქართველო თავის შვილებს ლომებრივ გმირობით დღესაც მაგრათ სდვას, არად მიაჩნია მტრის ცოფი და შმაგი, სცოცხლობს და იმედიანათ შესცქერის მომავალს!...

— კიდევაც იცოცხლებს, ვფიცავ ჩვენს დიდ სამებას*) და მტერსაც თვალეებს დაუთხრის!, — წამოიძახა სტუმარმა.

ახალგაზდა ვაჟაკის გულიდან ამოძახილზე მოხუცი აღელდა, თავი ჩაჰკიდა და მის დანაოქებულ ლაწვებზე ცრემლის რამდენიმე ცვარმა ჩამოიბრინა!...

ამ დროს უცბათ მაგრათ შემოალო კარები. სტუმარ-მასპინძლის წინაშე წარდგა მშვენიერი ახალგაზდა ქალი, მთლად იარაღში ჩამჯდარი. წარბები შექმუნხოდა, თვალეები ცეცხლს აფრქვევდნენ, მაღალი გულმკერდი ლელავდა.

— რას შერები!?! — განცვიფრებით წამოიძახა სტუმარმა, რა დაინახა ქალი.

— არა გრცხვენინა?! — ბრაზით უსაყვედურა მანდილო-სანმა სტუმარს, — შენ აქ არხეინათ მუსაიფობ და შეექცევი ლულს და არაყს და შენი ძმები-კი ეხლა საგირთის*) თავს სისხლს ანთხევენ მამულის დასაცავად შემოსეულ ქისტებთან ბრძოლაში. აჰა, იარაღი მოგიტანე, აისხი და წადი ჩქარა!

*) სამება — ხატი.

*) საგირთა — სოფელია.

*) თუშების თემი.

ნუ იგვიანებ, ნუ შეარცხვენ ნურც შენ თავს, ნურც შენ მამა-პაპის კერას! და თუ,—დააბოლოვა მშვენიერმა ასულმა,—არ წახვალ, მე წავალ შენ მაგივრად!

—ესეთი უნდა იყოს ცოლი,—წამოიძახა აღფრთოვანებული მამა, რა წამოვარდა ლომივით ხეზე და მივიდა ქალთან.

—ეხლა დავრწმუნდი, რომ ღირსეული ცოლი მყავს!—სთქვა ვაჟკაცმა, ცოლს მხარზე ხელი დაადო და ალერსიანად ჩააცქერდა თვალებში,

—მაიტა იარალი! ნუ გეშინიან, შენი ქმარი ლაჩრად არ მოკვდება, არც მომდევს ლაჩრობის ჯიში!...

ცოლმა მიაწოდა თოფი, სასწრაფო და ხმალი. ვაჟკაცმა გაუშინჯა თოფს ჩახმახი, კვესი, გაშინჯა სასწრაფოში მასრები, საესეა თოფის წამლით თუ არაო, ამოიღო შემდეგ ქარქაშიდან ხმალი, გაუშინჯა ფხა, დაბერტყა მაგრად ვადის სიმაგრის გასაშინჯათ და წარმოსთქვა:

—გასქერ, გამიძებ ჩემო ფრანგულო, შეიღებე პირი, მტრის სისხლით მამულის დასაცავად!..

—ახ, ერთი ცხენი აქ მყვანდეს, დაინაღვლა ვაჟკაცმა, რა ჩააგო ქარქაში ხმალი.

—ნუ გვიანობ, ჩქარა წადი!—დაჩქარა ცოლმა ქმარი,—ცხენი მზათ არის, გარეთ აბია კარებთან!

ქმარი გავარდა გარეთ, მას გაჰყვა ცოლი.

—ნეტავი შენ!—ამოიოხრა ნაღვლიანათ მოხუცმა, რა გააყოლა თვალი სტუმარს, და თვალებში ცრემლ მორეული, თავ ჩაღუნული, მიამტერდა ისევ ცეცხლს, სადაც არყის ხის ნაკვეთჩხალი ოქროს ფრად ისევ ღვიოდა და ჰჟუნდა მკრთალ სინათლეს ცეცხლის ბოლისაგან გამჟვარტლულ კედლებზე.

ივ. ბუქურაული.

26 მაისის მნიშვნელობა.

იმ დღიდან, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაპყრო და რუსეთის იმპერიას შეუერთდა. იწყება ქართველი ერის ტანჯვა. 1801 წლიდან მოყოლებული საქართველო იჩაგრებოდა ძველი რუსეთის ბრძკალეში. მე-XVIII საუკუნის მიწურულში საქართველო გრძობდა, რომ საკუთარი ძალით მას არ შეეძლო მტრების მოგერება. მისი დაუძინებელი მტრები იყვნენ ოსმალები და სპარსეთი. საქართველო ეძებდა მოკავშირეს ევროპის სახელმწიფოებთან, მაგრამ ასეთი ბედი განგებამ არგუნა რუსეთს. საქართველოს უკანასკნელმა მეფეებმა ძმურად გაუწოდეს ხელი ერთმორწმუნე რუსეთს, მაგრამ ძველმა რუსეთმა ასეთი ვაწვდილი ხელი, საქართველოს პოლიტიკურ და ეროვნულ მონობის ბორკილად შეცვალა. ამ დღიდან ძველმა რუსეთმა შემოიტანა საქართველოში მონობის უღელი და ამ უღელის ქვეშ გმინავდა ქართველი ერი 117 წლის განმავლობაში.

ერთმორწმუნე, ძლიერ რუსეთის იმპერიასთან შეერთებით, პოლიტიკურად დაქუცმაცებულ და სოციალ-ეკონომიურად დაქვეითებულს საქართველოს სურდა განეკურნა თავისი წყლულები რუსეთის. მფარველობით და გავერთიანებინა იგი. როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, რუსეთმა პირობა დასდო საქართველოსათვის დაებრუნებინა ისტორიის უკუღმართობის დროს მტრებისაგან წართმეული მიწა-წყალი, მაგრამ პირობა არ შეასრულა. თუმცა რუსეთმა 1828 წელს წაართვა ოსმალებს საქართველოს უდიდესი ნაწილი-მესხეთი, მაგრამ ქართველი მაჰმადიანები აქ შეავიწროვა, რამაც გამოიწვია ბევრი ქართველი მაჰმადიანის ვადასახლება შუაგულ ოსმალებში. მათს კარმიდამოზე რუსეთმა ჩაასახლა აზრუმიდან გადოსული სომხები.

ძველმა რუსეთმა შეკვეცა ქართველი ერის ყოველივე უფლება. სკოლებში და ეკლესიებში მოსაძრე ქართული ენა. ყველა დაწესებულებიდან განდევნა ქართველი ხელოვნებისკვირველია ამას კარგად ჰხედავდნენ და გრძობდნენ ჩვენი წინაპარნი და სცდილობდნენ სამშობლოს განთავისუფლებას, მაგრამ ნათქვამია: „ძალა აღმართსა ხნავსო“. არა ერთხელ ყოფილა საქართველოში ამბოხება ძველი რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ რუსული ხიშტი სათავეშივე ახშობდა ხალხის სამართლიან მისწრაფებას.

ეროვნულ-კულტურულად, სოციალ-ეკონომიურად და პოლიტიკურად დაბალი საფეხურზედ მყოფ რუსეთის იმპერიას ვერ ეგუებოდა ქართველი ხალხის ცხოვრება.

ამასთანავე კულტურულად ჩამოქვეითებულ ძველს რუსეთს ვერ შეეძლო მრავალ საუკუნეთა განმავლობაში გაკავებულ ქართველთა ეროვნულ-კულტურულ სახის შესუსტება და გადაგვარება.

ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ბევრი გულშემატკივარი თანამემამულე წამოეზარდა რომლებმაც შესძლეს საქართველოს კვლავ აღდგენა.

ასტყდა თუ არა მსოფლიო ომი, ამ ომში სასტიკათ დამარცხდა თვითმპყრობელი რუსეთი. რუსეთის მეფის ტახტის დანგრევას შემდეგ მოჰყვა განაპირა ერების განთავისუფლება. ქართველმა ერმა თავისი რჩეული ბელადების წყალობით აიხსნა მონობის ბორკილი და საკუთარი ხალხური რესპუბლიკა დაიარსა, რომელიც დღითი-დღე მტკიცდება და მკვიდრ ნიადაგზე ღდება.

საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა. ეს დღე ჩვენი ერის ისტორიის ფურცლებზე ოქროს ასოებით იქნება აღნიშნული. ამ დღიდან დაიხსნა მონობის უღელი, რომელიც ქართველ ერს 117 წლის განმავლობაში ედგა.

26 მაისი ქართველი დემოკრატიის განთავისუფლების დღეა!

ეს დღე საზეიმო დღეა ქართველი ერის ცხოვრებაში! დღეს თავისუფლების დღეს აღფთოვანებით ვდღესასწაულობთ.

ამ დღიდან შესდგა ქართული ეროვნული ჯარი, რომელსაც სახალხო გვარდიასთან ერთად წილად ხედა დამოუკიდებლობის დაცვა და განმტკიცება.

26 მაისი დიდი ეროვნული დღესასწაულია და იგი იმავე დროს დღესასწაულია ჩვენი სახელოვანი ჯარისა და გეარდიისა, რომლებიც თავისის მკერდით თავგანწირვით სდგანან და იბრძვიან ჩვენი ნონჩი რესპუბლიკის სადარაჯოზე.

ა. ლ.

რევოლიუცია და ჯარის კაცი.

რევოლიუციამ ჯარის კაცს ბევრი რამ მისცა, უპირველესად ყოვლისა იგი გაანთავისუფლა იმ მონობისაგან, რომელიც მას კისერზე აწვა ძველი რეჟიმის დროს. ჯარის კაცი წინედ წარმოადგენდა პირუტყვს და არა ადამიანს. მას თავპირში სცემდნენ, დედ-მამას აგინებდნენ. დღეს კი იგი სრული თავისუფალი მოქალაქეა. იგი დღეს ემსახურება თავის საკუთარ სამშობლოს. წინეთ თუ ჯარის კაცი ცხრა მთას იქით უნდა გადახვეწილიყო რუსეთის მეფის სამსახურისათვის, იგი ეხლა თავის საკუთარ სამშობლო საქართველოს ემსახურება. რუსის მტარვალი მეფის მაგიერ დღეს ჩვენი ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას იცავს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ. ჩვენი ხალხის მოწინავე ნაწილმა ჯარის კაცს ჩააბარა ახალგაზრდა რესპუბლიკა და იგი დააყენა იმის მცველად და დარაჯათ.

ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს ხალხს ბევრი მტრები ჰყავს, ასეთი მტრებით გარშემორტყმულია ჩვენი სამშობლო.

უდიდესი მტერი ჩვენი ხალხისა ოსმალეთია, ის ოსმალეთი, რომელმაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მიწასთან გაასწორა საქართველო. თუმცა მან ჩვენი წინაპრების მამაცობის გამო სავსებით ვერ შესძლო თავისი ვერაგული მიზნების მიღწევა. მოკავშირების მიერ დამარცხებული ოსმალეთი ხსნას რუსის ბოლშევიკებისაგან მოვლის და სცდილობს კვლავ აღადგინოს თავისი დაცემული სხელი.

ოსმალეთი შეუკავშირდა რუსის ბოლშევიკებს და ორივენი შეერთებულის ძალით ლამობენ ჩვენს წაღვევას, ჩვენი მშრომელი ხალხის დედამიწასთან გასწორებას. არა ერთხელ ახსოვს საქართველოს აწიოკება ოსმალს ფაშებისაგან და ეს ფაშები კვლავ ემზადებიან საქართველოს საწინააღმდეგოთ, ოსმალეთს შეუკავშირდა ადერბეიჯანი და ყველანი შეერთებულის ძალით ცდილობენ საქართველოს აწიოკებას, საქართველოს მშრომელი ხალხის უფსკრულში გადაჩეხას.

ჩვენი ხალხის მთელი იმედები ჯარის კაცზე და გვარდიელებზეა დამყარებული.

თავისუფლებისათვის მებრძოლთა და ამ ბრძოლაში დაღუპულთა უმანკო სისხლი ავალებს ჩვენს ჯარის კაცს პირნათლათ შეასრულოს დემოკრატიის მიერ დაკისრებული მოვალეობა.

ჩვენი ქვეყნის ორგულნი ცდილობენ პროვოკაციის წყალობით ჩვენს ჯარში შუღლი შეიტანონ, მაგრამ ასეთი პროვოკაციით ჩვენში ფონს ვერ გავლენ.

ჩვენი რესპუბლიკა ახალგაზრდაა, იგი არა ჩვეულებრივ პირობებში დაიბადა, ამიტომ ერთბაშით ყველაფერი ვერ მოეწყო. ერთის ხელის დაკრით ყველაფრის გაკეთება შეუძლებელია და ჩვენი მთავრობა ერთბაშით ვერ შესძლებს ყოველ მხრივ საქმის მოწყობას, ყოველმხრივ დაკმაყოფილებას.

ჯარის კაცი, როდესაც ნიკოლოზის მთავრობას ემსახურებოდა ყველაფერს იტანდა და დღეს კი, დროებით, ერთი ათად უნდა მოითმინოს, რადგანაც იგი თავისუფალ საქართველოს ღვიძლი შვილია, რადგანაც იგი თავისი მკერდით იცავს თავის ძვირფას სამშობლოს, თავის რესპუბლიკას და ამით კი საშუალებას მისცემს ჩვენს მთავრობას მოაწყოს ჩვენი ქვეყნის ცხოვრება. მეტად ძნელ პირობებში უხბება მთავრობას მუშაობა და ამ მუშაობას ხელს უშლის კარზე მომდგარი მტერი.

უპირველესად ყოვლისა ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა და გვარდიამ ჩვენს რესპუბლიკას უნდა მოაშოროს მტრები და საშუალება მისცეს ჩვენს მთავრობას აღმშენებლობითი მუშაობის განგრძობისა. მთავრობა შეძლებს კიდევ მოაწყოს ჩვენი ქვეყანა ისე, რომ ყველა კმაყოფილი დარჩეს. რასაკვირველია, მაშინ ჯარის კაცის ცხოვრებაც ერთი ორად გაუმჯობესდება და ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკაც გაღონიერება.

ალ. გორგაძე.

ჩვენს მხედრებს.

ოჰ, ერთხელ კიდევ, ოჰ, ერთხელ კიდევ, ქართველო, უნდა ხმაღს იკრა ხელი! ხომ ხედავ, როგორ გადაგვეკიდენ? ყოველი მხრიდან გვეხვევა მტერი!

ერთს მოვიგვრებთ, მეორე ესხმის ამ ჩვენ პატარა ტურფა ქვეყანას და, ვაი, ხშირად ისიც კი გვესმის, რომ ძმად ნაგულვიც ზურგში გვცემს დანას!

თავისუფლება ჩვენი შურს ყველას და გვიმზადებენ კვლავ ბორკილებსა, მაგრამ ჭირში მყოფ მამულის შველას ვერვინ ასწავლის ქართველ გმირებსა!

და ბათუმიდან ზაქათალამდე მთელ ერს აფრთოვნებს დღეს მხოლოდ გრძობა, რომ სამუდამოდ გაერთიანდეს **ქართველი მხედრობა** და დაამყაროს თვის შორის ძმობა და ირაზმება, რომ ახლანდელი ვერაგი მტერი შემუსროს სრულად და ეს გამოცდაც, უკანასკნელი, ბედს ჩააბაროს მან ღირსეულად!

რა ვუყოთ მერე, რომ ბევრს კვლავ ელის ტანჯვა-წვალება, სიკვდილი მწარე? სამაგიეროდ სახელს თვისს მხსნელის გააუქვდავებს მშობელი მხარე:

ხალხის ხსოვნაში გაღმერთებული არ მიეცემა ის დავიწყებას და არა ერთი აღფრთოვნებული მგოსანი უძღვის ქება-დიდებას!

მაშ, ერთხელ კიდევ, ოჰ, ერთხელ კიდევ, ქართველო, უნდა ხმაღს იკრა ხელი! ხომ ხედავ როგორ გადაგვეკიდენ? ყოველი მხრიდან გვეხვევა მტერი!..

დუბუ მეგრელი.

ცეკვა ბრძოლის წინ (საქართველოს მხედრობას)

დას ხოში!.. ტა-ტა-ტა!.. ტუში!.. ტუში!.. აისე!.. ჯერ ჩაჩნური გაუსევი, შემდეგ ჭიქა აივსე!.. ვაღდეგრძელოთ ყველანი, ვინც რომ ჩვენთან იბრძვიან, საღრმთო დროშა მახვილით მტრის ცეცხლის გულს იწვიან

არ მოჰხაროს არავინ მტრის წინაშე ბეჭები, შუბლს ჭრილობა შეჰშენის, ვით ქალს თითზე ბეჭედი. მამა-პაპურ სიმღერით ცას ხმლით შევხსნათ კარები, ყურთბალიშით ქვა გვედოს, სახნად — თოვლის კარვები. დას ხოში!.. აისე!.. ტაში!.. ტაში, ტა-ტა-ტა!.. ეს ვინ მოსჩანს შორიდან? ჩამომეცა, გამატა!.. ქალსა ვხედავ შავ-თვალას, თეთრ თოვლას და ჩადრიანს მგზავსი ჯერ არ უნახავს არც ერთ დროის დადიანს!..

დღემდე თავისუფლება და მშობლიო კარები ერთად მოვიპოვევით. ერთად იფაყავავევით. თუმცა მტერი ბლომად გვყავს, გვაგინეს და ვაგინეთ, მაგრამ დედა ვუტირეთ, ზურგზე ბოლი ვადინეთ. წითელ-ყვიფელ მტერს ახსოვს სოკი, შულავერია, ჯავას ყანწით სისხლს ვსვამდით, აწყურს კულა ერია; მაშ, დღესაცა სამშობლოს ფრთები გადავაფაროთ!.. დედა ცოლათ შეგვეერთოს, თუ ფაოხმალი დავყაროთ!..

დას ხოში!.. ტაში!.. ტუში!.. ბიჭო, გენაცვალეები!.. ყველა დედამ გაზარდოს შენისთანა ცალგები!.. ათას მტერსა მოვსპობდი ძირიან და ფესვებით, რუს-ოს-ფაშებს მოგვერიდით კარტუზით და ფესკებით!.. ვიშ! რა რიგად გაუსეა!.. ტაში, ბიჭო, ტუშია!.. ყველა თავზე დაგხარის, ფშავ-ხევსური-თუშია!.. გოგოც ცეკვა — დაირით თავზე შემოგფურენია, მისი ვნებაც დაირობს, სევდათ შემოგფენია!..

განი, განი ბიჭებო, ვიშ რა ბუქნა-ჩოქია! ჩვენთვის თუ სიცოცხლეა, მტრისთვის ბუქნა-ჭოქია!.. კმარა, ბიჭო, გეყოფა!.. ალავერდი აისე!.. მოდი გადაგხევიო!.. ახლა ჭიქა აივსე!.. ვაღდეგრძელოთ ყველანი, ვინც რომ ჩვენთან იბრძვიან, ვინც ბრძოლაც და სიმღერაც ვაუკაცურად იციან!..

დავ. კასრაძე.

ანგარიში

სამხ. სამინისტროს კულტურა-განათლების სექციისა ქალაქ ტფილისში.

ჯარში კულტურულ მუშაობის მოსაწყობად დახმარება იმოგვიჩინეს ფულით: ფრონტის დღის მომწყობმა მთავარმა ომიტეტმა 100,000 მ., ტფილისის სამაზრო ერობამ 20,000 მ., კოაპერატივთა ცენტრალურმა კავშირმა 20,000 მ., წ.-კ. ამავრცელებელმა საზოგადოებამ 10,000 მ., ყაზბეგის სანა-როჯარის-კაცთა განყოფილებამ (ქართულ ფულზე გადა-ურდავებული) 2,900 მ., ლანჩხუთის სარაიონო კოაპერა-ტივთა კავშირმა 1,400 მ., სულ შემოვიდა 154,300 მ.

ამ თანხიდან მიეცა სცენისა და აუდიტორიის მოსაწყო-ად: მე-5 ათასეულს ფულად 8,000 მ., ხის მასალით 1500 მ., 40 ზურგიანი სკამი 20,600 მ.

მე-7 ათასეულს: ფულად 7,300 მ., ხის მასალით 2,200 მ. სადარაჯო ათასეულს: ფულად 10,000 მ., ხის მასალით 1,520 მ., 45 ზურგიანი სკამი (ამათში 5 უზურგო) 20750 მ.

მესანგრე ათასეულს: ფულად 8,320 მ., ხის მასალა 2,080 მ., 8 ზურგიანი სკამი 20,800 მ.

მე-2 საარტილერიო დივიზიონს: 40 ზურგიანი სკამი 10,000 მ., საავტომობილო გუნდს: 16 ზურგიანი სკამი 8,000 მ., ერთდროულად გაზეთები ნაწილებს 398 მ. და 40 კ. ბიჭები და რვეულები სხვა და სხვა ნაწილებს 10,499 მ., ჰედენილია ხის მასალა, ლურსმანი და წებო ჯ.-კაცთა ცენ-ტრალურ კლუბისთვის სკამების დასამზადებლად 11,433 მ., სულ 154,300 მ.

დაწერილებითი ანგარიში ინახება კულტურა-განა-თლების სექციის მთავარ ხელმძღვანელთან და როგორც ამ ანგარიშის, ისე თვით ამ ფულებიდან ნაწილათვის გაკეთე-ბულ სკამების და სხვა მოწყობილების გაცნობა.— შემოწმება შეუძლიანთ დაინტერესებულ პირთ ყოველ დროს დაუბრკო-ლებლად.

ქუთაისში შემოვიდა: ვაჭართა ბიუროსაგან 10,000 მ., ამავე მიზნისათვის ბ-ნ ივ. პურადაშვილმა გადასცა ადგილო-ბრივ კომიტეტს ვაჭრებში მონაგროვებ ფულებიდან 20,000 მ., საქალაქო საკრებულოსაგან 10,000 მან., ბ-ნ მიტროფანე ლალიძისაგან 3,000 მ., სულ 43, 000 მ.

ქუთაისში ამ ფულებით უკვე მოწყობილია: ჯარის-კაც-თა უნივერსიტეტი, აუდიტორიით, სკამებით და კათედრით. საათასეულო სკოლა—პატრებით, მაგიდით და შკაფით. სამკითხველო—ორი მაგიდით, შკაფით და საწიგნე თა-როთი.

ბ-ნ ლალიძის დახმარებით განათებულია ელექტრონით. ოზურგეთში, ფოთში, სოხუმში, გორში, ასევე ეწყობა საქმე.

ადგილობრივ შემოწირული ფული ადგილობრივ მობი-ნადრე ჯარის ნაწილებში კულტურულ მუშაობის მოწყობას ხმარდება, იქვე ამორჩეულ კომიტეტის დახმარებით და ამ სა-ქმეში დახარჯულ თითოეულ კამეიკის ანგარიშსაც ადგილო-ბრივი სექციები წარუდგენენ საზოგადოებას.

დასასრულ სამხედრო სამინისტროს კულტურა-განა-თლების სექცია ჯარის-კაცთა სახელით უღრმეს მადლო-ბას მიუძღვნის ზემოხსენებულ დაწესებულებებს და ყველა იმ მოქალაქეებს, რომლებმაც ასეთი უხვი წვლილი გაიდეს ჯარ-ში კულტურულ მუშაობის მოსაწყობად. სექცია იმედოვნებს, რომ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ზემოხსენებულ და-წესებულებების მაგალითს სხვებიც მიჰბაძვენ და მით მისცე-მენ შეძლებას, რათა ჯარში კულტურული მუშაობა მან უფ-რო მტკიცე ნიადაგზე დააყენოს.

სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექცია.

რედაქციისაგან

ტექნიკურ მიზეზთა გამო ჩვენი ჟურნალი წინაველი ნომერი 12 გვერდიანია. შემდეგ კი—16 გვერდიანი გამოვა.

ჯარისა და გვარდიის ნაწილებს ჟურნალი უფასოთ და-ურიგდებათ. გასასყიდათ ნომერი ელირება 10 მანათი.

რედაქცია იმედოვნებს, რომ ჩვენი ჯარის კეთილ-მოსურნე კალმოსნები შესაფერ მასალებს მოგვაწვდი-ან და ამითი გაგვიადვილებენ იმ დიდათ პასუხსაგებ საქმეს, რაც დასახული აქვს ჟურნალ „მხედარს“.

ჟურნალის მეორე ნომერი გამოვა კვირას, 6 ივნისს.

მასალები უნდა იგზავნებოდეს სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექციის უფროს ხელმძღვანელის სა-ხელობაზე—სამხედრო სამინისტროში, ზედ-წარწერით: „ჟურ-ნალ „მხედრისათვის“.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.

ყოველ-კვირეული ჟურნალი

მხედარი

ჯარის ნაწილებს უფასოთ ურიგ-დებათ.

გასასყიდათ თითო ნომერი ღირს 10 მანათი.

მასალები უნდა იგზავნებოდეს სამხედრო-სამინისტ-როს კულტურა-განათლების სექციის მთავარ ხელ-მძღვანელის პოლკ. ტ. ართქელაძის სახელობაზე, ზედ-წარწერით: „ჟურნალ-მხედრისთვის“.

გამომცემელი სამხედრო სამინისტროს კულტურა-გა-ნათლების სექცია.

პასუხის მგებელი რედაქტორი: ნ. კურდღელაშვილი.